

ძალაშია 1998 წლის 26 ოქტომბრიდან

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის სტატისტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “მხარეებად” წოდებულნი,

ეყრდნობიან რა ურთიერთდინამიკურებს საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის სტატისტიკის, მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგიისა და მეთოდების, ინფორმაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, ნომენკლატურის, კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემის გამოყენების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების მიღების მიზნით,

სურთ რა დასახული მიზნების მისაღწევად შექმნან შესაბამისი პირობები და თვლიან რა, რომ თანამშრომლობა ითვლება საერთაშორისო თანამშრომლობის ზოგადი სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები განახორციელებენ პირდაპირ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას სტატისტიკის სფეროში, რომლებიც ეყრდნობიან შეთანხმებით განსაზღვრულ ზოგად პირობებს.

მუხლი 2

1. მხარეები სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობენ შემდეგი სფეროებისა და საკითხების გათვალისწინებით:

- სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება და მეთოდოლოგია;
- საწარმოთა სტატისტიკა (გამოკვლევის ორგანიზაცია, საქმიანი აქტივობის რეგისტრის შექმნა);
- ეროვნული ანგარიშების სისტემა;
- ეროვნული კლასიფიკაციის ინტეგრაცია გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან;
- ვაჭრობის სტატისტიკა საგარეო და შიდა);
- ფასების სტატისტიკა (სამომხმარებლო და საწარმოო);
- მშენებლობისა და ინვესტიციების სტატისტიკა;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკა;
- მოსახლეობის სასიცოცხლო დონის სტატისტიკა სოციალური მინიმუმი,

სიღარიბის ზღვარი, შიდა საოჯახო ბიუჯეტი);

- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობის, შემოსავლებისა და ხელფასების, სამუშაო ძალის სტატისტიკა;

- დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკა;

- სოციალური სტატისტიკა (ჯანმრთელობის დაცვა, ცხოვრების პირობები, ეკოლოგია და განათლება);

- სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების სისტემა;

- ორმხრივი სტატისტიკური შედარებები, რომლებიც ასახავენ საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს.

2. მხარეები გაითვალისწინებენ თანამშრომლობას განახორციელებენ სხვა ურთიერთშეთანხმებულ, მიზანშეწონილ საკითხებში.

მუხლი 3

მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება სხვადასხვა ფორმით, სახელდობრ:

- ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიის სფეროში გამოცდილების გაცვლა;

- საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მოლდოვას რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტის დელეგაციების, ექსპერტებისა და სპეციალისტების გაცვლა;

- სასწავლო კურსების, სემინარების, სტაჟირებებისა და სხვა მსგავსი ფორმების ორგანიზება;

- სტატისტიკური მასალების (პუბლიკაციების, კითხვარების და ა.შ.) სისტემატიური გაცვლა;

- ერთობლივი სტატისტიკური კვლევების ჩატარება.

მუხლი 4

1. თანამშრომლობა განხორციელდება წლიური პროგრამების შესაბამისად, რომლებიც შეიცავენ დანერგვის მეთოდებსა და თემებს, ისევე, როგორც ფინანსირების ფორმებს, რომლებიც შეიძლება შეცვლილ და დამატებულ იქნას მხარეთა თანხმობისას; დელეგაციების ყოფნასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს გამგზავნი მხარე.

2. თანამშრომლობის აღნიშნული პროგრამების კოორდინირებას განახორციელებენ თითოეული მხარის მიერ მითითებული ოფიციალური პირები;

შეთანხმებით გათვალისწინებულ სამუშაოთა კოორდინაცია და მათი რეალიზაცია ეკისრება:

საქართველოში – საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს;

მოლდოვას რესპუბლიკაში – მოლდოვას რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტს.

მუხლი 5

მხარეები თანამშრომლობას განახორციელებენ სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრალური ორგანოების დონეზე და ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის

განვითარებას მათ ფილიალებს შორის.

მუხლი 6

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით საფუძველზე შესაძლებელია ამ შეთანხმებაში ცალკე ოქმით გაფორმებული ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

მუხლი 7

შეთანხმების განმარტებისა და გამოყენებისას წამოჭრილ უთანხმოებებს მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკებებსა და კონსულტაციების გზით.

მუხლი 8

შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების თაობაზე დიპლომატიური არხების საშუალებით ბოლო წერილობითი შეტყობინების თარიღიდან.

შეთანხმება მოქმედებს ხუთი წლის ვადით. მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით, თუ არც ერთი მხარე არ შეატყობინებს წერილობით დიპლომატიური არხების საშუალებებით მითითებული ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე თავისი სურვილის შესახებ მისი დენონსირების თაობაზე.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1997 წლის “.....” ნოემბერს, ორ პირად, თითოეული ქართულ, მოლდავურ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

შეთანხმების განმარტების მიზნებისათვის გამოიყენება ტექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

მოლდავას რესპუბლიკის
მთავრობის სახელით